

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი



კონკურსის მეშვეობით სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის სარეზერვო გადამცემი ხაზის მონტაჟის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.

საკონკურსო დოკუმენტაცია

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი მე-17 კილომეტრი

2013 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება	_____	3
2 . საკონკურსო პირობები	_____	4
3 . ტექნიკური დავალება	_____	7

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პროცედურისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

1.1. საკონკურსო განცხადება

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“ აცხადებს კონკურსს საინჟინრო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.2. კონკურსის მიზანია სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის სარეზერვო გადამცემი ხაზების მონტაჟის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდა-ათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2013 წლის 16 სექტემბერს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2013 წლის 4 ოქტომბერს, 18:00 საათზე; დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 4 ოქტომბერს, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი; რუსთავის გზატკეცილი მე-17 კილომეტრი.

1.11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;

1.13. საკონკურსო წინადადებები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ კონკურსში, მოთხოვნისთანავე უბრუნდებათ კონკურსანტებს.

2. საკონკურსო პირობები

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

2.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.1.4. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნის შესაბამისად, კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შემდგომ, ხელშეკრულების დადებამდე;

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი გამოცხადებულია“ მინიჭების შემდგომ.

შენიშვნა: არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის ”ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას, რაც იმავე წესის 24-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს მის დარეგისტრირებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში.

2.2. შეფასების კრიტერიუმები:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა: კოეფიციენტი-0.8;
- გ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი-0.2;

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

2.3. საკონკურსო წინადადების ფასი:

- ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
- გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (5000 ლარი), არ განიხილება.

2.4. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.4.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

- ა) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება;

2.4.2. ანგარიშსწორების პირობა:

- ა) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო, ვალუტა -ლარი;
- ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დადებითი დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.4.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

2.4.4. მომსახურების ვადა:

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

2.4.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის 2.5. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.5. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით);
- პროექტის კონცეპტუალური გადაწყვეტა; ესკიზური პროექტი (რენდერები); 3D ვიზუალიზაციები, ფოტომონტაჟი;
- რეკვიზიტები;

წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საკონკურსო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს;

ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;

*** ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

2.6. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო პირებისგან: **ლევან ედილაშვილი ტელ: 577 780 060**; პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებული განმარტებები: **მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ნემსაძე ტელ: 599588852** გარდაბნის მუნიციპალიტეტი; რუსთავის გზატკეცილი მე-17 კილომეტრი.

3. ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტი:

ა) კონკურსის მიზანია სსიპ „სასაჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის სარეზერვო გადამცემი ხაზის მონტაჟის პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3.2. საპროექტო დავალება:

გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან **14 (თოთხმეტი)** კალენდალურ დღეში დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა. კერძოდ:

1. ობიექტის სარეზერვო გარე ელექტრომომარაგება განხორციელდეს 35/10/6 KV ძაბვის ქვ/ს „კრწანისი“-დან: რისთვისაც.
2. ობიექტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილი და მოეწყოს 10/0.4 KV ძაბვის მოთხოვნილი სიმძლავრის შესაბამისი სატრანსფორმატორო ქვესადგური;
3. ქვ/ს „კრწანისი“-ს 10 KV ძაბვის სექციაში გამოიყოს №5 თავისუფალი სახაზო უჯრედი და დაკომპლექტდეს თანამედროვე ტიპის ვაკუუმური ამომრთველითა და ყველა საჭირო მოწყობილობა აპარატურით.
4. აღნიშნულ სახაზო უჯრედსა და ობიექტის სატრანსფორმატორო ქვესადგურს შორის აშენდეს 10 KV ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. მისი სიგრძე, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი, დაზუსტდეს პროექტირების დროს.
5. ასაშენებელი 10 KV ძაბვის ეგ-ს ტრასა (მიწისქვეშა და მიწისზედა) შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
6. მიმდებარე ქსელში გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში.
7. სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ქსელში ახლად გამოსაყენებელი ელექტრო დანადგართა დაცვის მოწყობილობები(ციფრული, ელექტრონული, რელეური) და მეორადი კომპუტაციის სქემები უნდა: აკმაყოფილებდეს საქართველოს (უტწ, ტეწ, ედეწ), საერთაშორისო სტანდარტების(IEC, ISO, ANSI, FOCT და ა.შ.) და სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მოთხოვნებს. იყოს თავსებადი მოქმედ ობიექტებზე არსებულ მართვის, დაცვის და სიგნალიზაციის მოწყობილობებთან და სქემებთან.
8. რეაქტიული ენერჯის კომპენსირებისათვის განისაზღვროს აუცილებელი ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ $\cos\varphi=0,95-1$ ფარგლებში; აღნიშნული ღონისძიებები შეტანილ იქნეს პროექტში.
9. გადამეტაბვისაგან დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნას გადამეტაბვის შემზღუდველები, რომლის მოწყობის ადგილი და ტიპი დაზუსტდეს პროექტირების დროს.
10. ობიექტის სატრანსფორმატორო ქვესადგურის 0.4 KV ძაბვის მთავარი სქემის მოწყობისას გათვალისწინებულ იქნეს ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ ძირითადი და სარეზერვო მკვებავი ხაზების ერთმანეთთან ელექტრულ კავშირს.

11. ელექტროენერჯის აღრიცხვა:

- სარეზერვო კვების საანგარიშსწორებო აღრიცხვა მოეწყოს ქვ/ს “კრწანისში” 10 KV ძაბვის №5 სახაზო უჯრედში;
- გამოყენებულ იქნეს აქტიური ელექტროენერჯის ცალმიმართულებიანი, 2 ან 3-ელემენტისანი სამფაზა, ელექტრონული მრიცხველი შემდეგი მახასიათებლებით: UN=57/100 V; IN =1(5) A; სიზუსტის კლასი – არანაკლებ 1.0; მთვლელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი._ დენური და ძაბვის წრედები უნდა იყოს განმხოლოებული და მათი შუალედური მომჭერები უნდა იძლეოდეს მათი დალუქვის საშუალებას, ასევე დენური წრედების მომჭერები უნდა იძლეოდეს დენების დამოკლების საშუალებას;
- გამოყენებულ იქნეს დენის ტრანსფორმატორები დატვირთვის/მოკლე შერთვის დენების შესაბამისი ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და 0.5 სიზუსტის კლასის მქონე გრაგნილით; _ მეორადი გამზომი გრაგნილის გამოყენებას უნდა ჰქონდეს ხუფები დალუქვისათვის; _ ნომინალური მეორადი დენის მნიშვნელობა უნდა ემთხვეოდეს მრიცხველის ნომინალური დენის მნიშვნელობებს; _ უნდა ჰქონდეს მოქმედი პირველადი (ქარხნული) ან პერიოდული დამოწმების მოწმობა;
- საკონტროლო აღრიცხვა მოეწყოს ობიექტის ძალოვანი ტრანსფორმატორის 0.4 kv ძაბვის შემყვანზე; გამოყენებულ იქნეს აქტიური ელექტროენერჯის ცალმიმართულებიანი, 3-ელემენტისანი სამფაზა, ელექტრონული მრიცხველი შემდეგი მახასიათებლებით: UN=220/380 V; IN =5(10) A; სიზუსტის კლასი – არანაკლებ 1.0; მთვლელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი; _ 0.5 სიზუსტის კლასის და დატვირთვის შესაბამისი ნომინალის, დენის ტრანსფორმატორები დაიდგას სამივე ფაზაში;
- ელექტროენერჯის მრიცხველები: _ უნდა იყოს შეტანილი საქართველოში მოქმედ “გამზომი ხელსაწყოების რეესტრი“-ში და უნდა ჰქონდეს "საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"-ს ლუქები და დამოწმების მოწმობა;
- აღრიცხვის კვანძები მოწყობილ იქნეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის გათვალისწინებით.
- სრულად იქნეს დაცული “ელექტროდანადგარების მოწყობის წესები”-ს, “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები”-სა და “უსაფრთხოების ტექნიკის წესები”-ს მოთხოვნები.
- შემუშავებული პროექტი შესათანხმებლად წარედგინოს სს “ენერჯო-პრო ჯორჯია”-ს. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ პროექტის შეთანხმების შემდეგ.

3.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

3.4. კუთვნილება

- ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიში, გრაფიკული, სხვა სახის მასალა ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;
- ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

3.5. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარ-ჯთადრიცხო დოკუმენტაცია 3 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე, თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 8 მეგაბაიტს.